

პიტალის არსი და მნიშვნელობა ინოვაციური ბიზნესის განვითარებაში. ვენჩურული კაპიტალი არის მაღალი რისკის დონიან პროექტებში დაბანდებული კაპიტალი და განკუთვნილია ინოვაციურ წარმოებათა დასაფინანსებლად და დაკავშირებულია საკმაოდ დიდ რისკთან. აღნიშნული საინვესტიციო პროექტების წარმატებულად რეალიზაციის შემთხვევაში ვენჩურული კაპიტალი მისი მფლობელისათვის უზარმაზარი მოგების მომტანი „ოქროს ძარღვია“.

განხილულია აშშ-სა და ევროპის ქვეყნების გამოცდილება ვენჩურული ბიზნესის განვითარების საკითხებში, რომ ვენჩურულმა ბიზნესმა ხელი შეუწყო მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გადასვლას განვითარების პოსტინდუსტრიულ ფაზაზე. აღნიშნულია, რომ საქართველოში ბიზნესის ეს სახეობა ფაქტობრივად არ არსებობს, ვინაიდან არ გვაქვს ახალ ტექნოლოგიებთან და სარისკო ინვესტიციებთან მუშაობის გამოცდილება; აგრეთვე ფინანსური ინფრასტრუქტურა. ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ დღევანდელი ინსტიტუციური ორგანიზაციული სტრუქტურები, როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში სახელმწიფოს წარმომადგენლები, ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს. საჭიროა ამუშავდეს საფონდო ბაზარი, შეიქმნას ვენჩურული ფირმები, რომელშიც გაერთიანდებიან გამოცდილი მეცნიერები, ინჟინრები, გამომგონებლები, ნოვატორები, რომელთა დეფიციტს საქართველო არ განიცდის.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური, ვენჩურული, პროგრესული, ინვესტორი, კორპორაცია, საპაიო, ინტელექტუალური, ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოპარკები.

ვენჩურული კაპიტალი არის მაღალი რისკის დონიან პროექტებში დაბანდებული კაპიტალი. იგი განკუთვნილია ინოვაციურ წარმოებათა დასაფინანსებლად და დაკავშირებულია საკმაოდ დიდ რისკთან. ამ თავისებურებების გამო მას, არცთუ იშვიათად, „სარისკო კაპიტალსაც“ უწოდებენ. აღნიშნული საინვესტიციო პროექტების წარმატებულად რეალიზების შემთხვევაში ვენჩურულ კაპიტალს მისი მფლობელისათვის უფრო მაღალი მოგება მოაქვს. ვენჩურული ბიზნესის განვითარებას ხელი შეუწყო ინოვაციურ პროექტებში ინვესტიციების მოზიდვამ, რაც გართულებულია დაბანდებათა გრძელვადიანი ხასიათისა და პირველ ეტაპზე

უკუგების არარსებობის გამო, აგრეთვე იმ რისკით, რომ ეს ინვესტიციები შეიძლება საერთოდ უშედეგოდ აღმოჩნდეს და ფირმამ მოგების ნაცვლად ზარალი ნახოს. იმასთან დაკავშირებით, რომ ბანკებს არ შეუძლიათ სარისკო პროექტების მასშტაბური დაფინანსება, გრძელვადიანი სასესხო კაპიტალის მოზიდვის მიზნით ბანკები ვენჩურულმა კომპანიებმა ჩაანაცვლეს.

ინოვაციური ბიზნესის განვითარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ვენჩურული (სარისკო) კაპიტალი, რომელიც წარმოადგენს დაფინანსების ისეთ ფორმას, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. ვენჩურული კაპიტალის ფორმირება ხდება ინდივიდუალურ მეანაბრეთა, მსხვილი კორპორაციების, სამთავრობო უწყებების, სადაზღვევო კომპანიების, უნივერსიტეტების, მეცნიერულ-კვლევითი დაწესებულებების, ბანკების, საპენსიო ფონდებისა და სხვა უწყებების კაპიტალის ბაზაზე.

ვენჩურული ბიზნესი გულისხმობს ახალი იდეების, პროგრესული სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებების დაფინანსებასა და მათ დაყვანას გაყიდვისათვის მიზანშეწონილ დონემდე, ანუ კომერციალიზაციას. სამრეწველო და საბანკო კაპიტალისაგან განსხვავებით, ვენჩურული კაპიტალის თავისებურება ისაა, რომ მისმა ჩამდებმა იცის, რომ შეიძლება იგი დაიკარგოს. ამიტომ ინვესტორები თანხების დაბანდებას განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან. დაფინანსება გრძელვადიანია და დიდია მოგების მიღების ვადა. ვენჩურული კაპიტალი წარმოადგენს არა კრედიტს, არამედ საპაიო შესატანს – შემტანისათვის მოტივაციური ფაქტორია მომავალი მაღალი მოგება. ვენჩურული ბიზნესი საჭიროებს დიდ ცოდნას, დიდ ფულსა და დიდ გარჯას, მაგრამ წარმატების შემთხვევაში იგი უზარმაზარი მოგების მომტანი „ოქროს ძარღვია“.

ასეთ ბიზნესში მნიშვნელოვანწილად წვრილი და საშუალო საწარმოები (ფირმები) მონაწილეობენ, რომლებიც ძირითადად მეცნიერებატევად დარგებში ფუნქციონირებენ და მაღალპროფესიონალურ დონეზე ასრულებენ უახლესი ტექნოლოგიების, აგრეთვე, ნაწარმის ახალი ნიმუშების შექმნასა და წარმოებაში დაწერგვასთან დაკავშირებულ მეცნიერულ-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო ხასიათის სამუშაოებს.

ვენჩურულმა ბიზნესმა ხელი შეუწყო მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გადასვლას განვითარების პოსტინდუსტრიულ ფაზაზე. მერიკუ-

ლი ვენჩურული სისტემა ამ ბიზნესის პირველი და წარმატებული მაგალითია მსოფლიოში. აშშ-ზე პლანეტის ვენჩურული კაპიტალის დაახლოებით სამი მეოთხედი მოდის. 2010 წლისათვის მარტო აშშ-ში ფუნქციონირებდა 10 000 ვენჩურული ფირმა, რომელთაც 5000-მდე ფონდი აფინანსებდა, ხოლო ვენჩურული ბაზრის საერთო მოცულობამ 26 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ევროპულ ქვეყნებში ვენჩურულ ფონდებს ნაკლები შესაძლებლობები აქვთ. მათი მოცულობა 10 მილიარდ დოლარს არ აღემატება. ევროპაში ლიდერია დიდი ბრიტანეთი, რომლის წილად ევროპის ვენჩურული სახსრების თითქმის ნახევარი მოდის.

ინოვაციური ბიზნესი წარმოუდგენელია რისკის გარეშე. რისკი არის საშიშროება, სავარაუდოდ ზარალი ან ზიანი, რომელიმე არასასურველი მოვლენის დადგომის შესაძლებლობა. რისკის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ალბათობა იმისა, რომ ფირმამ თავისი სამენარმოო საქმიანობის შედეგად, შესაძლოა დაკარგოს რესურსების ნაწილი, ვერ მიიღოს დაგეგმილი მოგება ან გაუჩნდეს გაუთვალისწინებელი ხარჯები. ბიზნესის სხვა სფეროებთან შედარებით ინოვაციურ ბიზნესში უფრო მეტი რისკია, რადგან სასურველი შედეგის მიღების გარანტია ამ ტიპის საქმიანობაში პრაქტიკულად გამორიცხულია. ამერიკელი მეცნიერი ბ. ტეისი იმასაც ამტკიცებს, რომ ინოვაციურ ბიზნესში ლისკონტის განაკვეთად ბანკის პროცენტის გამოყენება და ამ დარგისათვის მისი ბაზად მიღება დაუშვებელია, რადგან ეს არის დარგი, სადაც წარმატების ალბათობა 10%-ია, რისკისა და დანაკარგის კი – 90%. ამავე აზრის არიან მედინსკი და სტრეკალოვი. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა და გაბედული შემოქმედებითი არატრადიციული ქმედება, თავის მხრივ კიდევ უფრო აძლიერებს რისკის ალბათობას.

რისკი ინოვაციურ ბიზნესში შეიძლება განმარტოს, როგორც ალბათობა ზარალისა, რომელიც მოსალოდნელია ორგანიზაციის მიერ სახსრების დაბანდებით ახალი პროდუქციისა და მომსახურების წარმოებასა და ძველის გაუმჯობესებაში, მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების ათვისებაში, ორგანიზაციისა და მართვის ახალი მეთოდების დანერგვაში. ჩხა-დია, ზარალი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ახალ პროდუქციასა და მომსახურებას ბაზარი არ მიიღებს, ან თუკი ინოვაციური მმართველობითი მეთოდები არ აღმოჩნდება ეფექტიანი. ხშირად კი რისკისათვის

ჯილდო მენარმის მიერ გამომუშავებული მოგების ძირითადი ნაწილია, ე.ი. მენარმე მოგების მისაღებად ეძებს წარმოების ორგანიზაციის მეთოდსა და ტექნოლოგიას, ამუშავებს ახალ საქონელსა და მომსახურებას, ქმნის ახალ ბაზარს.¹

ინოვაციურ ბიზნესში შეიძლება წარმოიშვას წმინდა და სპეკულაციური რისკები. პირველი გულისხმობს ბიზნესში ისეთი ფაქტორების მოქმედებას, რომლის შედეგი აუცილებლად არის ზარალი და მათი გავლენის შეცვლა შეუძლებელია. მაგალითად, სტიქიური უბედურება, ხანძარი, პოლიტიკური კატაკლიზმები და სხვა. სპეკულაციური რისკები კი დაკავშირებულია მმართველობით გადაწყვეტილებებთან, რომელთა შედეგი შეიძლება იყოს როგორც ზარალი, ასევე – მოგება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

რისკი, რომელიც მოსალოდნელია ინოვაციური პროექტის არასწორად შერჩევის შემთხვევაში, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს ფირმის ეკონომიკური და საბაზრო სტრატეგიის პრიორიტეტების არასწორი განსაზღვრა, სამომხმარებლო ბაზრის არაადეკვატური შეფასება;

ინოვაციური პროექტის არასაკმარისი დაფინანსების რისკი, რომელიც გამოწვეულია დაფინანსების წყაროს არასწორი შერჩევით. აღსანიშნავია, რომ ინოვაციური პროექტის დაფინანსების წყაროს შერჩევისას საწარმოს აქვს სამი შესაძლო არჩევანი: 1) პროექტის თვითდაფინანსება; 2) დაფინანსება გარე წყაროებიდან; 3) პირველი ორი ვარიანტის კომბინაცია;

მარკეტინგული რისკი, რომელიც დაკავშირებულია ინოვაციური პროექტის რეალიზაციისთვის საჭირო რესურსების მიწოდების შეფერხებასთან და ძირითადად განპირობებულია ტექნიკური თავისებურებებით. ხშირ შემთხვევაში, პროექტის განსახორციელებლად საჭიროა უნიკალური მონოპოლიზებული, მაღალხარისხიანი მაკომპლექტებლები, ან ისეთი მასალები, რომლებიც თავად მოითხოვენ დამუშავებასა და ათვისებას. ამიტომ ზოგჯერ საწარმოს წინაშე დგება პრობლემა, იპოვოს ისეთი მიმწოდებლები, რომლებიც შესძლებენ მის უზრუნველყოფას ამა თუ იმ უნიკალური რესურსით. ხოლო, როცა ასეთი მომწოდებლები არ არსებობენ ადგილობრივ ბაზარზე. ფირმა

¹ ჩოჩიშვილი ს. ბიზნეს-გეგმის შედგენის მეთოდთა, თბ., „ინტელექტი“, 2001, გვ. 50.

იძულებულია ეძებოს ისინი საერთაშორისო ბაზარზე, რაც ცხადია, განაპირობებს დამატებით ხარჯებს და წარმოშობს საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებულ რისკებს;

ინოვაციური პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციის მარკეტინგული რისკი, რომელიც წარმოიშობა ბაზრის არასაკმარისი სეგმენტაციის გამო, როცა ახალ, მიმზიდველ, მაგრამ მაღალი ფასის მქონე საქონელს ვერ ყიდულობენ მომხმარებლები, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა არასწორად არის შერჩეული მიზნობრივი ბაზრის სეგმენტი და რისკი წარმოიშობა შემდეგ სიტუაციებში: 1) თუ ინოვაციურ პროდუქტზე მოთხოვნა შერჩეული ბაზრის სეგმენტზე არასტაბილური აღმოჩნდება; 2) თუ არჩეულია ბაზრის ისეთი სეგმენტი, რომელზეც მოთხოვნა ინოვაციურ პროდუქტზე შეფასებულია არასწორად; 3) თუ გაყიდვებისთვის შერჩეულია ბაზრის სეგმენტი, რომელზეც ინოვაციურ პროდუქტზე მოთხოვნა შეზღუდულია;

კონკურენტებთან დაკავშირებული რისკი, რომლის წარმოშობის მიზეზებია: კონკურენტებზე არასრული ან არასარწმუნო ინფორმაციის ფლობა, სიახლეების დანერგვის უფრო ნელი ტემპები კონკურენტებთან შედარებით, კონკურენტების მხრიდან კონკურენციის არასწორი მეთოდებით წარმართვა, რაც ასახვას ჰპოვებს ბაზარზე სხვა მწარმოებლების გამოჩენაში, რომლებმაც შესაძლოა ანალოგიური პროდუქცია შესთავაზონ მომხმარებლებს;

ინოვაციურ პროექტთან დაკავშირებული საკუთრების უფლების უზრუნველყოფის რისკი, რომელიც წარმოიშობა სხვადასხვა მიზეზის გამო. მაგალითად, დაპატენტების პოლიტიკის საკითხებში დაშვებულმა შეცდომებმა შეიძლება ნულამდე დაიყვანოს ფირმის მიერ სიახლის დანერგვით მიღებული კონკურენტული უპირატესობა. არსებობს რისკი იმისა, რომ გაჭიანურდეს პატენტის დარეგისტრირება, დაგვიანდეს ლიცენზიის მიღება დროულად გადაუხდელობის გამო, საპატენტო ორგანომ უარი თქვას პატენტის დამტკიცებაზე და შეაფერხოს მისი გაცემა. გარდა აღნიშნულისა, მოსალოდნელია აგრეთვე პატენტის გაპროტესტების რისკი, რამაც შეიძლება ხშირ შემთხვევაში გამოიწვიოს:

- საპატენტო უფლების გაუქმება;
- საწარმო-ტექნოლოგიური რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საწარმოო წუნის, ხანძრის, ავარიის და სხვა შემთხვევაში;

- რისკი, რომელიც დაკავშირებულია არასრულ და არაზუსტ ინფორმაციასთან ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების პარამეტრების დინამიკის შესახებ;

- გაუთვალისწინებელი ხარჯების წარმოქმნისა და შესაბამისად, მოგების შემცირების რისკი.

გარდა ზემოაღნიშნული რისკებისა, ინოვაციურ საქმიანობაზე გავლენას ახდენს ის რისკები, რომლებიც დამახასიათებელია ბიზნესის სხვა სფეროებისათვის:

- ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკი;
- სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების რისკი;
- საგარეო ეკონომიკური რისკი, რომლებიც დაკავშირებულია საგარეო საქმიანობაში შეზღუდვების დაწესებასთან, საზღვრების დაკეტვასთან და სხვა;
- ბუნებრივ-კლიმატური პირობები, სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებული რისკები და სხვა.

რისკის მართვა წარმოადგენს ერთ-ერთ დინამიურად განვითარებადი სახის პროფესიულ საქმიანობას. იგი მოიცავს შემდეგ სტადიებს: სავარუდოდ რისკის გამოვლენას, რისკის შეფასება, რისკის მართვის მეთოდის შერჩევას და მისი გამოყენებით მიღებული შედეგების შეფასება.

რისკის მართვა, როგორც სისტემა, შედგება ორი ქვესისტემისაგან: მართვადი ქვესისტემა, რომელიც მოიაზრება მართვის ობიექტად და მმართველი ქვესისტემა, რომელიც წარმოგვიდგება მართვის სუბიექტად. რისკის მართვის სისტემაში მართვის ობიექტს მიეკუთვნება: რისკის დაშვება, კაპიტალის სარისკო ჩადება და რისკის რეალიზაციის პროცესში ეკონომიკური ურთიერთობა ისეთ მეურნე სუბიექტებს შორის, როგორიცაა: მენარმე და პარტნიორები, კრედიტორი და დებიტორი, დამზღვევი და მზღვეველი, კონკურენტები და ა.შ. რისკის მართვის სისტემაში მართვის სუბიექტად კი მიჩნეულია ადამიანთა სპეციალური ჯგუფი (მენარმე, ფინანსური მენეჯერი, რისკ-მენეჯერი, დაზღვევის სპეციალისტი და სხვა.), რომელიც სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ახდენს გავლენას მართვის ამა თუ იმ ობიექტზე.

ბევრ ფირმაში შემოღებულია რისკ-მენეჯერის თანამდებობა, რომლის მოვალეობას წარმოადგენს ამა თუ იმ სახის რისკის შემცირება.

რისკ-მენეჯმენტის მმართველობითი ფუნქცია დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო საშუალებებით დროული და კომპლექსური მანიპულირება. აღსანიშნავია, რომ ინოვაციურ საქმიანობაში მნიშვნელოვანია არა რისკების თავიდან აცილება, არამედ მათი მინიმიზაცია, რაც შესაძლებელია შემდეგი ძირითადი მეთოდების გამოყენებით:

რისკების განაწილების მეთოდი გულისხმობს თანაინვესტორთა მოძიებას, რათა მიღწეულ იქნას რისკების შემცირება მათი გადანაწილებით პროექტის მონაწილეობაზე. მხარე, რომელიც პასუხისმგებელია კონკრეტულ რისკზე, კარგად უნდა ერკვეოდეს მის სპეციფიკაში, რათა გონივრულად შეაფასოს და აკონტროლოს იგი. ამასთან, იგი უნდა იყოს ფინანსურად მდგრადი იმისათვის, რომ გაუძლოს რისკების სავარაუდო უარყოფით გავლენას. აღსანიშნავია, რომ რაც უფრო ძლიერია თანაინვესტორთა ჯგუფი, მით ნაკლებია პროექტის შეჩერების ალბათობა ამა თუ იმ გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო.

დივერსიფიკაციის მეთოდი საშუალებას იძლევა, ინვესტიციათა მრავალფეროვნების ხარჯზე შემცირებულ იქნას პორტფელური რისკები, რაც გულისხმობს ერთ საინვესტიციო პროექტის გაერთიანებას იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული ყველა პროექტის მომგებიანობის ერთდროული ცვლილება ერთი და იმავე მიმართულებით. რისკიანი ფინანსური აქტივებისაგან შემდგარი პორტფელები შეიძლება ისეთნაირად იქნას ფორმირებული, რომ თუ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო ერთ-ერთი პროექტი აღმოჩნდება წამგებიანი, სხვების მიერ მიღებულმა მოგებამ კომპანია გაკონტრებისგან გადაარჩინოს. დივერსიფიკაცია გულისხმობს ასევე, პროდუქციის გარკვეულ სახეობაზე მოთხოვნის შემცირებით გამოწვეული რისკის თავიდან აცილების მიზნით ფირმის მიერ სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოებას;

დაზღვევა, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა, წარმოადგენს რისკის შემცირების ყველაზე გავრცელებულ ფორმას და გულისხმობს რისკის სხვაზე გადაცემას გარკვეული გასამრჯელოს ფასად, რაც ნიშნავს ზარალის განაწილებას სადაზღვევო ურთიერთობების მონაწილეთა შორის. დაზღვევის შემთხვევაში იქმნება სპეციალური სადაზღვევო ფონდი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ზარალისა თუ დანაკარგის ანაზღაურების მიზნით. მაგალითად, სადაზღვევო კომპანიაში ფიზიკური და იურიდიული პირები დებენ თანხებს

იმისათვის, რომ რისკით გამოწვეული ზარალის შემთხვევაში დამზღვევმა მიიღოს გარკვეული კომპენსაცია. კერძო სადაზღვევო კომპანია წარმოადგენს კომერციულ საწარმოს. საქონელი, რომლითაც ის ვაჭრობს, საფინანსო დახმარებაა. იმისათვის, რომ შეძლონ ფუნქციონირება, სადაზღვევო კომპანიებმა უნდა დაფარონ საკუთარი დანახარჯები, რომლებიც შედგება სადაზღვევო პოლისების ასანაზღაურებელი თანხების, ადმინისტრაციული დანახარჯების, ლიკვიდურობისა და გადასახადებისაგან. სადაზღვევო კომპანიებში დიდ როლს თამაშობენ ის ადამიანები, რომლებიც განსაზღვრავენ სადაზღვევო დანაკარგებისა და პრემიების მოცულობას. მათ აქტუარები ეწოდება. ისინი ადგენენ სადაზღვევო ცხრილებს, სადაც აისახება სხვადასხვა სტიქიური მოვლენის ალბათობა და იყენებენ მათ სადაზღვევო პრემიების დასადგენად. სადაზღვევო აგენტები არიან სადაზღვევო კომპანიების ის თანამშრომლები, რომლებიც წყვეტენ, თუ რომელი რისკები, რა თანხებში უნდა იქნეს დაზღვეული. აღსანიშნავია, რომ დაზღვევა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირთა დიდი რაოდენობა განიცდის ანალოგიურ რისკს.

რისკის დაზღვევასთან ერთად გამოიყენება დაზღვევა, რომელიც გულისხმობს პირდაპირი მზღვევლის მიერ დაზღვეულისაგან სადაზღვევო ხელშეკრულებით აღებული რისკის გარკვეული ნაწილის სხვა მზღვევლისთვის გადაცემას ისე, რომ ამ უკანასკნელს დაზღვეულთან სამართლებრივი ურთიერთობა გააჩნია. ადაზღვევის დროს მაქსიმალურად იზღუდება სადაზღვევო კომპანიის ზარალი და ის გაკონტრებისაგან დაცულია. გადაზღვევის მიზანია რისკების განაწილების გზით დამზღვევის დაბალანსებული პორტფელის შექმნა, სადაზღვევო ოპერაციების ფინანსური მდგომარეობისა და რენტაბელობის უზრუნველყოფა, ზეგავლენა პირდაპირი მზღვევლის გადახდისუნარიანობის მაჩვენებელია გაუმჯობესებაზე, ლიკვიდური აქტივების შეთავაზება უშუალოდ მზღვევლისათვის სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას, დანაკარგის სწრაფი რეგულირებისათვის გადაზღვევის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როცა სადაზღვევო კომპანიების რისკის ასაღებად საკმარისი ფინანსური თანხები არ გააჩნიათ. გადაზღვევა რეგულირდება ხელშეკრულების ფორმით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ერთი სადაზღვევო კომპანია - „ცედენტი“ გადასცემს დასაზღვევად მიღებული რისკის ნაწილს სხვა

კომპანიას - „ცესიონერს“. გადაზღვევის ხელშეკრულება პირდაპირ მზღვეველსა და გადამზღვეველს შორის სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველია, რომელშიც მოცემულია გადაზღვევის წესები და დებულებები.

რეზერვირება, რომლის დროსაც საწარმო ქმნის სპეციალურ ფონდებს (ძირითადად მოგებიდან) საბრუნავი საშუალებების ნაწილის ხარჯზე. იგი წარმოადგენს სარეზერვო ფონდის შექმნის დეცენტრალიზებულ ფორმას სამეურნეო სუბიექტში, ამიტომაც განიხილება, როგორც დანაკარგის დაფარვაზე საშუალებების რეზერვირება და ხშირად თვითდაზღვევას უწოდებენ. რეზერვირების შემთხვევაში აუცილებელია ოპტიმალური მარაგის განსაზღვრა, ხოლო თუ დანაკარგებმა გადააჭარბა დაგროვილ რეზერვს, რაც მოსალოდნელია დაუგეგმავი რისკის პრიობებში, საწარმომ უნდა გამოიწვიოს მათი კომპენსაციისათვის დამატებითი სახსრები.

ჰეჯირება წარმოადგენს ბაზარზე არასასურველი ფასის კონიუნქტურის რისკის შემცირების ეფექტიან საშუალებას. ვადიანი კონტრაქტების დადებით მენარმე თავს იცავს ბაზარზე ფასების რყევისაგან, რითაც ამცირებს თავისი სამენარმეო საქმიანობის სავარაუდო შედეგების გაურკვევლობის დონეს.

ლიმიტირება გულისხმობს შეზღუდვის სისტემის გარკვეულ წესებს, რომლებიც გამოიყენება კაპიტალდაბანდებათა განსაზღვრის, საქონლის კრედიტში გაყიდვის, სესხის გაცემის და სხვა შემთხვევაში, მისი საშუალებით ხდება ფულადი სახსრების ზღვრული დონის დადგენა.

აღსანიშნავია, რომ რისკის მინიმიზაციის მეთოდების კონკრეტული არჩევანი დამოკიდებულია მენარმისა და რისკ-მენეჯერის გამოცდილებასა და ინოვაციური ფირმის შესაძლებლობაზე. ხშირად სასურველი შედეგის მისაღებად გამოიყენება არა ერთი, არამედ, რისკების შემცირების მეთოდთა ერთობლიობა ინოვაციური პროექტის განხორციელების ცალკეულ ეტაპზე. რაც, საბოლოო ჯამში, კომპანიის ეფექტიანი განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

საქართველოში ბიზნესის ეს სახეობა ჯერჯერობით ფაქტობრივად არ არსებობს, ვინაიდან არ გვაქვს ახალ ტექნოლოგიებთან და სარისკო ინვესტიციებთან მუშაობის გამოცდილება, აგრეთვე ფინანსური ინფრასტრუქტურა. ვენჩურული ბიზნესის მთავარი პირობა – გან-

ვითარებული საფონდო ბაზარი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ვენჩურული კაპიტალის მუშაობის მთავარი პრინციპი. მიუხედავად ამისა, საქართველოს ვენჩურული ბიზნესის განვითარების კარგი პერსპექტივები აქვს.

საქართველოში საამისოდ უპირველესად, უნდა ჩამოყალიბდეს ინტელექტუალური საკუთრების სრულყოფილი ბაზარი, ამუშავდეს საფონდო ბაზარი და შეიქმნას ვენჩურული ფონდები. გასათვალისწინებელია აშშ-ის და ევროპის წამყვანი ქვეყნების გამოცდილება და საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებთან სასურველია შეიქმნას ბიზნეს ინკუბატორები, ტექნოპარკები, რომლებიც ვენჩურული ფირმების პროტოტიპები იქნებიან და უზრუნველყოფენ დასაქმებას.

საქართველოში ინოვაციური ბიზნესის განვითარება, ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფოს სისტემატური ზრუნვის საგნად უნდა იქცეს. ჩვენმა მთავრობამ არ უნდა დაუშვას ე.წ. „ტვინების გადინება“ საზღვარგარეთ, ახალგაზრდა და პერსპექტიული კადრების დაკარგვა. ასეთი საშიშროება ჩვენ ქვეყანაში არსებობს და მისი თავიდან აცილება პროგრესული ეკონომიკური პოლიტიკითაა შესაძლებელი. ამაში კი თავისი გადამწყვეტი წვლილი ვენჩურულმა ბიზნესმაც უნდა შეასრულოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., დათაშვილი ვ., ნაკაიძე გ., ქუთათელაძე რ. „ინოვაციების მენეჯმენტი“, თბ., 2008.
2. გვარუციძე ა., „ინოვაციები ბიზნესში“ (მონოგრაფია), თბ., 2012.
3. ლაზიაშვილი ნ., „რისკმენეჯმენტი“ (სახელმძღვანელო), თბ., 2010.
4. ჩიქავა ლ. „ინოვაციური ეკონომიკა“, თბ., 2006.
5. ცაავა გ. ვენჩურული ბიზნესი, როგორც ინოვაციების დაფინანსების საშუალება“, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 5, 2010.
6. Молчанов Н.Н. Иновационный процесс: организация и маркетинг, Санкт-Петербург, 2008.

მიკროსოციალური გარემოს როლი დაავადებათა პრევენციაში

მედეა ჩიქავა — სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
თამარ ცინცაძე — სტუ-ს პროფესორი

ნოდარ სულაშვილი — საქართველოს უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

The Role of Microsocial Environment for Disease Prevention

Medea Chikava
Tamar Tsintsadse
Nodar Sulashvili

The aim of the study was to assess the microsocial environment role for prevention of Chronic Noninfectious Digestive Diseases (CNDD). One phase epidemiological research was conducted in population of adolescents aged 14-21 years, living in Georgia. The representative contingent – 430 adolescents were selected by the method of simple randomization. The two groups were separated from the research contingent: the experimental group was composed of 84 adolescents with the CNDD and the control group was made of 346 conditionally healthy adolescents.

The microsocial environmental risk factors ranking was held according to decrease of OR values. Analysis of events showed that the odds ratio for the

combination of chronic psychological overloads are very high. Among them the care for reduction of study overloads, conflict situations at the family and adolescents bad habits are the most important for prevention of CNDD. The improvement of living conditions also can help with preventing CNDD among adolescents. The listed above preventive measures implementation can help reduce the prevalence of CNDD among adolescents.

რეზიუმე

კვლევის მიზანი იყო მიკროსოციალური გარემოს როლის შეფასება კუჭ-ნაწლავის ქრონიკულ არაინფექციურ დაავადებათა (კქად) პრევენციაში. ერთმომენტიანი ეპიდემიოლოგიური კვლევა ჩატარდა საქართველოში მცხოვრებ 14-21 წლის მოზარდთა პოპულაციაში. არტივი რანდომიზაციის მეთოდით შეირჩა რეკ-